საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ლეჟავა ალექსანდრე (სანდრო) თეიმურაზის ძე

ა. ლეჟავა

ლეჟავა ალექსანდრე (სანდრო) თეიმურაზის ძე (დ. 20. VII. 1970, თბილისი), ბიოლოგი, გენეტიკოსი. ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1999), პროფესორი (2005).

დაამთავრა თსუ-ის ბიოლოგიის ფაკ-ტი გენეტიკის სპეციალობით (1992). სამეცნ. მოღვაწეობა დაიწყო იაპონიაში, ჰიროსიმას უნ-ტში (1997–1999). იყო იაპონიის ფიზ.-ქიმ. კვლევების ინ-ტის (RIKEN) გენომური მეცნიერების ცენტრის ლაბორ-ის ხელმძღვანელი (2000–2010), სადაც მიენიჭა პროფესორის წოდება. სამეცნ. კვლევა გააგრძელა აშშ-სა და სინგაპურის უნ-ტებში. იყო მიწვეული პროფესორი ოჰაიოს სახელმწ. უნ-ტში (აშშ; 2007–08). 2011 წლიდან დღემდე მუშაობს სინგაპურში გენომის ინ-ტის (Genome Institute of Singapore) ტრანსლაციური კვლევის ლაბორ-ის ხელმძღვანელად და პროგრამულ დირექტორად. პარალელურად ხელმძღვანელობს კომპანია POLARIS-ს, რომელიც უზრუნველყოფს გენომური ტექნოლოგიების დანერგვას კლინიკურ მედიცინაში. არის მრავალი სტატიის ავტორი მაღალრეიტინგულ საერთაშ. გამოცემებში.

მისი მეთოდოლოგიით შესაძლებელი გახდა ონკოლოგიური დაავადებების, ტუბერკულიოზისა და კეთრის მკურნალობაში ახალი მიდგომების დანერგვა.

არის 11 ტექნიკური გამოგონებისა და 4 საერთაშ. პატენტის ავტორი მოლეკულური დიაგნოსტიკის სფეროში.

იაპონიაში სამეცნ. მოღვაწეობისა და მედიცინაში შეტანილი წვლილისთვის მიღებული აქვს Suzuken Memorial Foundation-ის ჯილდო (2007), გენომური ტექნოლოგიების განვითარებისთვის კი - სხვადასხვა საერთაშ. სამეცნ. გრანტი და პრემია.